შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა # 182/ბ-1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 26 აგვისტოს #182/ბ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

თბილისი

„27" „ოქტომბერი" 2014წ.

ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ჯინჯიხაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"** შემდგომში(„მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის სახით, მხარეთა შორის 2014 წლის 26 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #182/ბ ხელშეკრულების მე-10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მხარეთა შორის 2014 წლის 26 აგვისტოს გაფორმებული 182/ბ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა კერძოდ:

1.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 26 აგვისტოს #182/ბ ხელშეკრულების მე-2. პუნქტის 2.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და და „საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების მესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის N483 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის ბენეფიციარების მანანა ხალულაშვილის და სიმა ტორდუაშვილის, საჭიროებისათვის სამედიცინო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები - 85100000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 900.00 (ცხრაასი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").

1.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2014 წლის 26 აგვისტოს #182/ბ ხელშეკრულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დუშეთის შშმ პირთა პანსიონატში განთავსებული ორი ბენეფიციარის საჭიროებისათვის შემდეგი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა: ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების აღკვეთა.ერთი ბენეფიციარის ამბულატორიული მკურნალობის (მკურნალობა მოიცავს მიმწოდებლის მიერ 2014 წლის 1 თებერვალს დამტკიცებული „ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი:აღკვეთის მდგომარეობა. ამბულატორიული 4 ვიზიტი" სტანდარტის შესაბამისად სამედიცინო მომსახურების ვაწყვას) სრული კურსის ღირებულება შეადგენს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარს. შესაბამისად 2 ბენეფიციარის მკურნალობის ღირებულება იქნება 900 (ცხრაასი) ლარი.

2 შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო სამი – „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი # TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/ბ # 205169592

ლაშა ჯინჯიხაძე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

შპს „„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"
მის: თბილისი, ქავთარაძის 21 ა
ს/ს „თი-ბი-სი ბანკი"
[illegible]BCBGE22
[illegible]E75TB7810[illegible]020100002
ს/ კ 404945[illegible]

ლაშა კილაძე
[illegible] დირექტორი